ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის

კულტურის, მეცნიერების, განათლებისა და მედიის კომიტეტის

სხდომა

24-25 მაისი, 2018

ა ნ გ ა რ ი შ ი

მ/წ 25 მაისს მონაწილეობა მივიღე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კულტურის, მეცნიერების, განათლების და მედიის კომიტეტის სხდომაში

კომიტეტის დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო რეზოლუციის პროექტები/ინიციატივები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ახალ მედია გარემოში „მედია წიგნიერების“ მნიშვნელობა;
- დემოკრატიულ საზოგადოებაში კულტურული მემკვიდრეობის ღირებულება;
- არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და გაძლიერება;
- საჯარო მომსახურების მედია მცდარი ინფორმაციისა და პროპაგანდის კონტექსტში;

კომიტეტის სხდომაზე მოხსენება გავაკეთე საკითხზე - მედია წიგნიერების მნიშვნელობა ახალ მედია გარემოში. კომიტეტის გადაწყვეტილებით, დანიშნული ვარ მომხსენებლად აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კომიტეტის სხდომაზე ვისაუბრე ახალი ტექნოლოგიური განვითარების პირობებში პროფესიული მედიის წინაშე მდგარ ახალ გამოწვევებზე და მედია განათლების მნიშვნელობაზე ამ პროცესში. ასევე, ვისაუბრე ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების გამოცდილების შესწავლის მნიშვნელობაზე ამ მიმართულებით და საერთო მიგნებების გამოკვეთის საკითხებზე. ინიციატივაზე მუშაობისას მოწვეული იქნებიან დარგის ექსპერტები, რომლებიც წინასწარ მოხსენებას წარმოადგენენ კომიტეტის მორიგ სხდომაზე თბილისში, მ/წ 25 სექტემბერს.

საკითხი, საბოლოოდ, რეზოლუციის სახით წარედგინება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას დასამტკიცებლად.